



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

დაბა ქედა

N 19  
30/03/2018

19-04-4-201803301640



ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ  
ანგარიშის მოსმენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში თანახმად დანართი №1-სა.
2. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამე.
3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ გაწეული საქმიანობის  
შესახებ ანგარიში

**პირველი ხალხის მიერ არჩეული მერის პასუხისმგებლობა ამომრჩეველთან:**

მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამა ეყრდნობოდა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 4 პუნქტიან რეფორმების გეგმას: 1. ეკონომიკური რეფორმა; 2. განათლების რეფორმა; 3. სივრცითი მოწყობა; 4. მმართველობითი რეფორმა.

საარჩევნო პროგრამის მიხედვით, გასატარებელ რეფორმათა სტრატეგიული ორიენტირები იქნება: ადგილობრივი დემოკრატიის განმტკიცება და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობებისა და ეფექტიანობის ხარისხობრივი გაზრდა.

**შედეგად:**

**2019 წლამდე** - საბოლოოდ მოხდება პროფესიული მუნიციპალური სამსახურების სისტემაზე გადასვლა, განხორციელდება ადგილობრივი სამსახურების სტრუქტურული და საკადრო ოპტიმიზაციან და მოწესრიგდება მოხელეთა შრომის ანაზღაურების სისტემა (პროცესი დაწყებულია და მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან).

შედგება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია და სტრატეგიული გეგმა. (აქტიურად მიმდინარეობს კონსულტაციები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან).

**სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებები იქნება:**

- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა; - ეკონომიკური განვითარება;
- გარემოს დაცვა და გაუმჯობესება. ყველა ეს მიმართულება წარმოდგენილი იქნება ამოცანების, პროგრამებისა და

ქვეპროგრამების სახით.

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა დაეფუძნება:

- **ხედვას** - „სოციალურად დაცული და ეკონომიკურად ძლიერი ოჯახები ჯანსაღ გარემოში“;
- **თვითმმართველობის მისიას** - საკუთარი და დელეგირებული უფლებამოვალეობების სწორი და ეფექტური განხორციელება;
- **მიზანს** - სოციალურ-ეკონომიკური და გარემოს უსაფრთხოების მაჩვენებლების გაუმჯობესება.

**მერიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები:**

- თანამდებობის პირების საქმიანობის გამჭვირვალობა;
- მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა;
- ორგანიზაციის საქმიანობის საჯაროობა;
- ნებისმიერი მოქალაქისთვის ღიაობა და მათი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობა;
- კეთილსინდისიერება;
- კრიზისულ სიტუაციაში ოპერატიულობა;
- გუნდურობა;

- თვითმმართველობის სფეროების ეფექტური მართვა. **ვთანამშრომლობთ:**
- ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან: Marcy Corps, OXFAM, EMPARD, NAF, CENN ა.შ.
- მაღალია საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობები მედიაში, პრესაში, რადიოში, სოციალურ მედიაში;
- ორგანიზაციას აქვს კეთილსინდისიერი პიარი, რომელიც რეალურად განხორციელებულ თემებზეა დაფუძნებული და ქვეყნდება პროაქტიულად;
- იანვრიდან - დღემდე გაფორმდა 3 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- აქტიურად მიმდინარეობს საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხის განხილვა პოლონეთის მხარესთან.

ქედაში მოქმედი სერვისების გაცნობის მიზნით, მუნიციპალიტეტს სომხეთიდან დელეგაცია სტუმრობდა, რომელსაც ალავერდის მუნიციპალიტეტის მერი - ნარიქ სარქისიანი ხელმძღვანელობდა. ასევე, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ოფიციალური მიღება გაიმართა გერმანიის DVV international-ის წარმომადგენელთან, რომელმაც მიმდინარე წლის ივნისის თვეში, მუნიციპალიტეტის პირველი პირი საქმიანი ვიზიტით ბერლინში მიიწვია.

#### **ჩართულობა:**

- მუნიციპალიტეტის მერი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებსა და კამპანიებში;
- მოსახლეობას სისტემატიურად ხვდება კარ-დაკარის პრინციპით და ადგილზე ეცნობა არსებულ ვითარებას;
- კვირაში ორჯერ - სამშაბათსა და პარასკევს, ოფიციალურად მართავს მოქალაქეთა მიღებას;
- ეწყობა ბიუჯეტის, პროექტებისა და ინიცირებების საჯარო განხილვა;
- ხელმძღვანელობს მერიაში შექმნილ მუდმივმოქმედ შტაბს;
- თანამდებობისა და ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირები ორიენტირებულები არიან მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე.

წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს თვითმმართველობის ინდექსის კვლევების შედეგები, რომლის მიხედვითაც, ქედის მუნიციპალიტეტი რეგიონში ბათუმის შემდეგ მეორეა საჯაროობისა და პროაქტიულობის კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევებში აღწერილი შენიშვნების გამოსწორებაზე თვითმმართველობა აქტიურად მუშაობს. ამისი მაგალითი ონლაინ პეტიციის შექმნაა - მოქალაქეებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, სახლიდან გაუსვლელად დაარეგისტრირონ პეტიცია შემდეგ მისამართზე [www.keda.ge](http://www.keda.ge).

ნებისმიერ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა და მათი აზრის გათვალისწინება მერიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესია. ამიტომ, ქედის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე - f-ქედის მუნიციპალიტეტი. Keda municipality, მოსახლეობის აზრის საკვლევად გამოაქვეყნა 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, ადგილობრივი ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტის - „სთრით არტი“ს შესახებ აზრის გამოკითხვა და მახუნცეთში, აკვედუკის მიმდებარედ, ასევე ინიცირებული პროექტის - მონუმენტის „საქართველოს სადარაჯოზე“ განთავსების საკითხი, რომლებიც საჯაროდ იქნა განხილული.

**ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის  
ზოგადი მიმოხილვა 2018 წელტან მიმართებაში**

2018 წლის ქედის მთავარი დოკუმენტის ბიუჯეტმა 9 536 900 ლარი შეადგინა; ანალოგიურ, 2017 წლის ბიუჯეტთან (8 157 700) მიმართებაში ბიუჯეტი 1 379 200 ლარით გაიზარდა.

**მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტებია:**

- ინფრასტრუქტურული პროექტები;
- ტურიზმის განვითარება;
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის სფეროების ხელშეწყობა.

**ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2017 წლის შესრულების შესახებ:**

**შემოსულობები**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 11 დეკემბრის N 24 დადგენილებით, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური მოცულობა 10 526 236 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 598 396 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მდგომარეობით, მიღებულია გათანაბრებითი ტრანსფერი - სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 142 600 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი - 2 625 871 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 1 506 450 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა - 943 743 ლარი, მათ შორის: ქონების გადასახადი - 539 461 ლარი, სამემოსავლო გადასახადი - 404 282 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 291 638 ლარი, მათ შორის: პროცენტები 40 610 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 93 837 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 5 319 ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 1 103 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 25 740 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება - 12 457 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 35 643 ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 76 929 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა - 24 377 ლარი. 2017 წლის ფაქტიური შემოსულობები დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა - 93.3 %-ით.

**გადასახდები**

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2017 წლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 598 396 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 603 159 ლარი - 90.6 %.

**I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1734 649 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 696 858 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 505 002

ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 488 339 ლარი. მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 225 834 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 205 931 ლარი.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 588 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 588 ლარი.

### II. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოები სფეროს 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 56 800 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 50 876 ლარი, მათ შორის:

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 56 800 ლარს, ხოლო ფაქტიური ხარჯი 50 876 ლარი.

სამსახურის 2017 წლის საგაზაფხულო და სამემოდგომო გაწვევის გეგმა – დავალება შეადგენდა - 35 წვევამდელს. წლის განმავლობაში, წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ ცენტრში გადაყვანილი იქნა 78 წვევამდელი, მათგან მუდმივმოქმედმა სამხედროსამედიცინო საექსპერტო კომისიამ ვარგისად ცნო სამხედრო სამსახურისთვის და გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში - 30 წვევამდელი.

- მუდმივმოქმედმა სამხედრო სამედიცინო - საექსპერტო კომისიამ, შეზღუდულად ვარგისად ცნო სამხედრო სამსახურისათვის - 29 წვევამდელი;
- დროებით უვარგისად ჩაითვალა სამხედრო სამსახურისათვის და მიეცათ გაწვევისაგან გადავადების უფლება ერთი წლის ვადით - 16 წვევამდელს; - გაიგზავნა დამატებით გამოკვლევაზე - 3 წვევამდელი. **გაწვევით სამხედრო საგალდებულო სამსახურის გავლის მიზნით:**
- შ.ს.ს. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა - 10 წვევამდელი;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩაირიცხა - 2 წვევამდელი.

2017 წლის სექტემბრის თვიდან დაიწყო 2001 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც დასრულდება მიმდინარე წლის 30 აპრილს.

წლის განმავლობაში რეზერვში ჩარიცხულია 200 სამხედრო ვალდებული. მათ შორის: 27 წლის შესრულების გამო – 108 მოქალაქე; სამხედრო ძალებიდან დათხოვნილი – 62; სამხედრო საკონტრაქტო სამსახურიდან დათხოვნილი – 16 და 14 - სხვადასხვა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 1 წვევამდელი და 4 – რეზერვისტი.

შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ აღრიცხვაზე გადაყვანილია 19 რეზერვისტი.

სამხედრო ბილეთის დაკარგვის გამო 50 ლარი ჯარიმა დაეკისრა ორ რეზერვისტს.

### III. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის სფეროს 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 597 507 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 849 742 ლარი, მათ შორის:

**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოვლა შენახვა**  
2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 482 734 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 405 890 ლარი, საიდანაც:

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 91 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24 187 ლარი. სოფელ დოხოძების საცალფეხო ბილიკის მოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 748 ლარი.

სოფელ გაგელიძეების ცენტრში საცალფეხო ბილიკის მოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 083 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 083 ლარი.

სოფელ ცხმორისში (ნაკაშიძეების უბანი) საცალფეხო ბილიკის მოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 351 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 351 ლარი.

დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 378 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 368 520 ლარი.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 292 131 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 3 833 322 ლარი, საიდანაც:

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 334 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 333 998 ლარი. გარე განათების ქსელის გაფართოება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 49 883 ლარი.

სკეცტექნიკის შეძენა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 199 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 199 000 ლარი.

ნაგავმზიდი ავტომობილის შეძენა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 280 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 280 000 ლარი. შპს „ქედის წყალკანალი“ 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 199 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 198 936 ლარი.

აწვესის, ახოსა და ქედის წყალმომარაგების ქსელში აბონენტთა გამრიცხველიანება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 485 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 485 ლარი.

სს „აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შენატანი 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 200 ლარი.

ხარაულა-ჯალაბაშვილების სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 234 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 234 498 ლარი.

გეგელიძეების წყალსადენის რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 56 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 55 992 ლარი.

ზენდიდისა და ცხემნის წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 96 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 95 974 ლარი.

აბუქეთის სასმელი წყლის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16 001 ლარი. ქოსოსფლის წყლის სისტემის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა

განისაზღვრა 45 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 43 608 ლარი.

კორომხეთი-კოლოტაურის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 136 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 109 189 ლარი.

სოფელ ოქტომბერში წყლის სამარაგო ავზის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 688 ლარი. სარწყავი არხების სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 878 ლარი.

ოქტომბრის თემში (კვინჩხას უბანი) წყალშემკრები და სამარაგო ავზის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 853 ლარი.

სოფელ ძენწმანში წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 046 ლარი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ოონისძიებების 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 517 346 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 093 135 ლარი, მათ შორის:

დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ყოფილი ადგილმრეწველობის კომბინატის შენობის რეკონსტრუქცია და საცხოვრებელ სახლად გადაკეთება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 436 046 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 278 708 ლარი.

მუნიციპალური(ყოფილი კოოპერაციის აღმინისტრაციული შენობა) შენობის რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 9 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 493 ლარი.

დაბის ტეროტორიის კეთილმოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 722 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 610 639 ლარი.

მუნიციპალიტეტის აღმინისტრაციული ერთეულების ცენტრების და მათში შემავალ სოფლებში კეთილმოწყობითი სამუშაოები (დანდალო, ცხმორისი, წონიარისი, ზვარე, დაბა ქედა, ოქტომბერი, მერისი, პირველი მაისი, მახუნცეთი) 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 430 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 375 463 ლარი.

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ზენდიდისა და კავიანის ციხეებზე მისასვლელი გზების, ბილიკების და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 228 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 224 050 ლარი.

აწესის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 680 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 584 409 ლარი. აწესის სავაჭრო

დახლის მოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 373 ლარი.

პრიორიტეტული ონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 58 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 57 960 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 767 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 767 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 645 853 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 564 922 ლარი.

არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 17 450 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 880 ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 152 572 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22 961 ლარი.

ეკონომიკური განვითარების სამსახურის შემადგენლობაში ორი განყოფილება ფუნქციონირებს: შესყიდვების და ქონების მართვის განყოფილებები. 2018 წლის დასაწყისიდანვე, ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯების შესაბამისად, შედგენილი იქნა სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - 4 252 278 ლარზე. ბოლო სამ თვეში დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, გამოცხადებული იქნა - 39 ტენდერი სახელმწიფო შესყიდვებზე. მათგან დადებითად დასრულდა - 29 ტენდერი. ამ პერიოდისთვის გაფორმებულია მომწოდებლებთან - 16 ხელშეკრულება.

კონსოლიდირებული წესით ჩატარებული ტენდერების საფუძველზე გაფორმებულია ორი ხელშეკრულება, ხოლო გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულია - 32 ხელშეკრულება, მათ შორის - სოფლის სამედიცინო პუნქტების მედდებთან - 29 ხელშეკრულება.

დღეისათვის, გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 2 194 283 ლარის ოდენობა გათვალისწინებულია სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე, ხოლო სხვა მომსახურებებისთვის - 213 700 ლარის ღირებულებაზე.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის კუთხით, წლის დასაწყისიდან ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები. კერძოდ, დასრულდა ქონების ინვენტარიზაციის და აღრიცხვის პროცედურა. 63 ერთეულ ქონებაზე მომზადებული იქნა აუდიტის დასკვნები. 100 ერთეული ქონების ტექნიკური ნახაზების შედგენისათვის ხელშეკრულება გაფორმებულია კერძო კომპანიასთან, მათგან 40 ერთეული ქონების ნახაზი უკვე მომზადებულია.

მიმდინარეობს მუშაობა საპრივატიზაციო ქონების ნუსხის მომზადებისათვის. კერძოდ, დამტკიცებულ ნუსხაში ცვლილებების შეტანის მიზნით ფასების ცვლილებებთან დაკავშირებით. მიმდინარე წელს 3 ერთეული ქონება - სარწყავი არხები - გადაცემული იქნა აჭარის ა რ საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტისთვის. მზადდება დოკუმენტაცია 8 ერთეული ქონების შპს „ქედის წყალკანალი“-სთვის, ხოლო 12 ერთეული ქონების ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-სთვის გადაცემის მიზნით.

საქართველოს ქონების ეროვნული სააგენტოსთვის, ქონების გადმოცემის მიზნით, გაგზავნილია წერილობითი კორესპონდენციები. აქედან, დადებითად გადაწყვეტილია 3 ერთეული მიწის ფართის გადმოცემის საკითხი.

ამ დროისთვის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. მაგალითად, გაზის მაგისტრალის მშენებლობა.

გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. მაღლე ქედის მოსახლეობა ისარგებლებს პროექტის სიკეთებით, რაც შეიძლება ისტორიულ ფაქტად შევაფასოთ.



მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, ბათუმი-ახალციხის 37-ე კილომეტრზე, ცენტრალური მაგისტრალის გაფართოებითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. აღნიშნულ მონაკვეთზე, გზის სივიწროვის გამო საფრთხე უქმნებოდათ, როგორც ავტომობილების მძღოლებს, ასევე ქვეითებს.

აღსანიშნავია, რომ ქედის მერია პროექტის მეორე ეტაპის გაგრძელებას აპირებს. ნაპირსამაგრი სამუშაოების შედეგად, ახლადათვისებულ ტერიტორიაზე დაიგეგმება პარკინგისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტების კეთილმოწყობა, რაც ორ ძირითად პრობლემას მოაგვარებს: დაცული იქნება ქვეითთა უსაფრთხოება და განიტვირთება დაბა ქედის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია.



ქედის თვითმმართველობას სუფთა მუნიციპალიტეტის ამბიცია აქვს. ვინაიდან, ადგილობრივი ხელისუფლების ძირითადი პრიორიტეტი სოფლად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა მერიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

თვითმმართველობის მოხელეები ყოველ წელს, პერმანენტულად მონაწილეობენ დასუფთავების აქციებში და კამპანიებში, რის საშუალებითაც არაერთი ხელოვნური ნაგავსაყრელები და ხევები დასუფთავდა.

მიუხედავად იმისა, რომ უპრეცენდენტოდ, ყველა სოფლიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენები უკვე სისტემატიურად იზიდება, ქედის მერია სერვისის გასაუმჯობესებლად კვლავ აქტიურად მუშაობს. სწორედ ამ მიზნით, უახლოეს დღეებში, თვითმმართველობა ქედის კომუნალურსერვისს ახალ ნაგავმზიდს გადასცემს, რომლის შესაძენად ადგილობრივ ბიუჯეტში 280 000 ლარი იყო გათვალისწინებული და მას ტენდერში გამარჯვებული ფირმა „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი მოაწვდის. ასევე, 50 000 ლარად დაგეგმილია 70 ნაგვის ურნის შეძენა, რომელიც სოფლებში დამატებით განთავსდება.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს ნარჩენების მართვის 5 წლიანი სტრატეგიული გეგმა. გარდა ამისა, სხვადასხვა სერვისების შექმნისა თუ განვითარების კუთხით, მერიის შესაბამისი უწყებები მჭიდროდ თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის ბიუჯეტიდან 129 000 ლარია გამოყოფილი



გეგელიძების მეჩეთის მიმდებარედ, ქედის მერია მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს სამირკვლის საფრთხე იანვარში შეექმნა. მეწყრული პროცესები საფრთხეს უქმნიდა ასევე იქვე მდებარე ორ საცხოვრებელ სახლსაც.

გრძელდება სოფელ ზუნდაგაში 2 წლიანი პროექტი - მრავალფუნქციური სახლის მშენებლობა. საბავშვო ბალი, სამედიცინო პუნქტი, კლუბი და ადმინისტრაცია ერთ შენობაში განთავსდება - ბიუჯეტი 760 564 ლარი.

მასში დასრულდება ასევე 2 წლიანი პროექტი დაბა ქედაში - აღმაშენებლის ქუჩაზე 12 ბინიანი სოციალური სახლის მშენებლობა, რომლის ბიუჯეტიც 436 046 ლარია. საცხოვრებელი ფართი 10 უსახლ-კარო ოჯახს გადაეცემა. ბინების განაწილების კომისიაში მინიმალური იქნება საჯარო მოხელეთა ჩართულობა. მეტიც, კომისია დაკომპლექტდება არასამთვარობო ორგანიზაციების, მედიისა და გარე ორგანიზაციების წევრებით. **წინა წელთან მიმართებაში:**

<b>კაპიტალური პროექტები</b>	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
საგზაო ინფრასტრუქტურა	482,734	495,000
გარე-განათების მოწყობა, სანიტარული დასუფთავებისა და გამწვანების ღონისძიებები	862,881	435,400
კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,151,094	1,907,900
წყალმომარაგების უზრუნველყოფა	819,347	699,700
მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	587,883	480,900

## მუნიციპალური ორგანიზაციების დაფინანსება

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
შპს ქედის წყალკანალი	198,936	191,800
შპს ქედის კომუნალურსერვისი	333,998	355,400
ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	1,065,609	1,083,600
ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი	386,051	413,390
ა.ა.ი.პ. ქედის მუზეუმი	61,292	66,800
ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	113,148	140,300
ა.ა.ი.პ. ქედის ხელოვნების სკოლა	113,518	113,600

მიმდინარე წელს იგეგმება სოფელ აგარაში სოციალური სახლის მშენებლობა. ასევე, მიმდინარეობს დამატებითი თანხის მოძიება დაბა ქედაში, ახლადათვისებული ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად.

2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია შემდეგი მსხვილი კაპიტალური ღონისძიებების დაფინასება:

N	დასახელება	სულ	აჭარის ა.რ. კაპიტალური ტრანსფერი	აჭარის ა რ გარდამავალი ღონისძიებები	ადგილობრივი ბიუჯეტიდან
1	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	215 000	150 000	65 000	
2	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაკიდული ხიდების რეაბილიტაცია	50 000	50 000		
3	სოფელ მემიბნაში სამედიცინო პუნქტის (და სოფლის სახლის) მშენებლობა და ინვენტარის შეძენა	200 000			200 000
4	ნაგვის შემგროვებელი ურნების შეძენა სოფლებისათვის (60-70) ერთეული	50 000			50 000

5	კორომხეთი-კოლოტაურის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	121 100	95 100	26 000	
6	ზენდიდისა და ცხემნის წყლის სიტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	122 200	122 200		
7	ქოსოფლის წყლის სისტემის მშენებლობა	53 600	53 600		
8	გეგელიძეების წყალსადენის რეაბილიტაცია	73 000	73 000		
9	სოფელ ორცვაში ქაჯაებისა და კაკაბაძეების უბანში 18 ოჯახზე სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა	41 200	41 200		
10	დანდალოს თემში (ოტოლაძეების უბანში) წყალმომარაგების უზრუნველყოფა	76 400	76 400		
11	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი დანიშნულების საპირფარეშოების მშენებლობარეაბილიტაცია	30 000			30 000
12	დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა	350 000	300 000	50 000	
13	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების და მათში შემავალ სოფლებში კეთილმოწყობითი სამუშაოები (დანდალო, ცხმორისი, წონიარისი, ზვარე, დაბა ქედა, ოქტომბერი, მერისი, პირველი მაისი, მახუნცეთი დოლოგანი)	530 900	530 900		

14	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (წონიარისის ხიდი, საღორეთის, ცივასულას და ქილისას ციხეებზე ტურისტული მარშუტების მოწყობისათვის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა)	120 000	120 000		
15	სამთო ტურიზმის განვითარება (მთების გზები და ბილიკების კეთილმოწყობა - დიდვაკე, ლაშე ნაკონალვარი, დარათი, ღომა, თივნარა და საბადური)	80 000			80 000
16	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	200 000			200 000
17	ხარაულის ბაგა-ბაღის კეთილმოწყობა	60 000	60 000		
18	მერისის ბაგა-ბაღის კეთილმოწყობა	40 000	40 000		
19	მახუნცეთის თემის ადმინისტრაციული შენობის და ზუნდაგის ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია	500 600	360 600	140 000	
20	დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ყოფილი ადგილმრეწველობის კომბინატის შენობის რეკონსტრუქცია და საცხოვრებელ სახლად გადაკეთება	165 000		165 000	
21	მუნიციპალიტეტში არსებულ ბაგაბაღებში ეზოების კეთილმოწყობა და ატრაქციონების შეძენა	100 000	100 000		
22	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია	100 000	100 000		

23	დაბა ქედაში კულტურის სახლისა და სახელოვნებო სკოლის რემონტი	60 000	60 000		
24	თემის სამედიცინო პუნქტების და ამბულატორიების კეთილმოწყობა	60 000			60 000
25	აწესის ტერიტორიის კეთილმოწყობა	450 000	437 000	13 000	
26	დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები	230 000	230 000		
27	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	351 300		51 000	300 300
<b>სულ</b>		<b>4 430 300</b>	<b>3 000 000</b>	<b>510 000</b>	<b>920 300</b>

#### IV. განათლება

განათლების სფეროს 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 197 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 475 852 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 643 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 475 852 ლარი, საიდანაც:

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 085 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 065 609 ლარი. მახუნცეთის თემის ადმინისტრაციული შენობის და ზუნდაგის ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 400 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 262 295 ლარი.

დოლოგნის ბაგა-ბაღის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 67 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 67 678 ლარი. წონიარისის ბაგა-ბაღის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 90 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 80 270 ლარი.

#### V. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროს 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 079 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 058 530 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 425 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 416 831 ლარი, საიდანაც:

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 120 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 113 148 ლარი.

სპორტული და ახალგაზრდული ოონისძიებების დაფინანსება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 74 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 74 238 ლარი.

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ოონისძიებების 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 45 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 45 000 ლარი. სარაგბო

კლუბის მხარდაჭერი ოონისძიებების 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 79 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 78 985 ლარი.

მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 106 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 105 461 ლარი.

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 653 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 641 699 ლარი, საიდანაც:

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 391 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 386 051 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 116 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 113 518 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 62 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 61 292 ლარი.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 84 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 80 839 ლარი.

კულტურულ - საგანმანათლებლო ოონისძიებების ფარგლებში, მერიის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა 35 სხვადასხვა ოონისძიება, რომელთა მიზანი იყო მუნიციპალიტეტში არსებული ფოლკლორული ანსამბლების წარმოჩენა, ფოლკლორის დარგებისა და უანრების ნიმუშთა მოძიება-დაფიქსირება, ქართული ხალხური სიმღერის წარმოჩენა-პოპულარიზაცია, სხვადასხვა სტატუსის მქონე პირთა ჩართულობა კონკრეტულ ღონისძიებებში, კულტურული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების მოვლა-პატრონობა, ვიზიტორთა დაინტერესება, მოზიდვა და სხვა.

ასევე, ღვაწლმოსილი, მრავალშვილიანი ქალბატონების და მასწავლებელთა წახალისება, მათი როლისა და ღვაწლის დაფასება, ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნება, ქვეყნისათვის თავგანწირული გმირების უკვდავყოფა, ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა - წარმოჩენა, ხანდაზმულთა პატივისცემა, ქედის მუნიციპალიტეტში არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურის შენარჩუნება-განვითარება.

მერიის ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა შალვა აბაშიძის ისტორიული წიგნი „დედაო ჩემო ქედაო“, რომელმაც საზოგადოების მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა.

ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა 18 ოონისძიება. დაფინანსდა და განხორციელდა სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებები, რომელმაც ხელი შეუწყო ახალგაზრდებში ინტელექტუალური დონის ამაღლებას, ხალისიანი და მსუბუქი განწყობილების შექმნას, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და სტიმულირებას. ახალგაზრდების გაერთიანებას ინტერესების მიხედვით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, კლუბური და გუნდური მუშაობის უნარების შეძენასა და განვითარებას.

სპორტული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა 44 ღონისძიება. აღნიშნული პროგრამების მიზანია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტის ეროვნული სახეობების შენარჩუნება და განვითარება. საქართველოსა და ქვეყნის გარეთ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, ადგილობრივ სპორტსმენთა დაფინანსება.

მუნიციპალიტეტში სამივე სფერო საკმაოდ რომ წარმატებულია, ამას შედეგები ასაბუთებს:

- მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადაზე, რომელიც 2018 წლის აპრილში მაღარაში ჩატარდება, საქართველოდან ვაიოს საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი იასპარეზებს;
- ქედის სახელოვნებო სკოლის ბავშვთა ანსამბლი „ჩანგი“ წელს ივნისში, ბულგარეთში დაგეგმილ ფესტივალში - „მზიანი ნაპირი“ - მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება;
- გამოიცა ანსამბლ „ელესას“ მეორე აუდიოალბომი, ასევე მალე გამოიცემა ანსამბლ „მოყვარეს“ ჩანაწერები;
- დაბა ქედაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე სკვერში, საზეიმოდ გაიხსნა პირველი აჭარელი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის - ყადირ შერვაშიძის ბიუსტი;
- პირველი მაისის საჯარო სკოლა „ეტალონი“-ს ოქროს ფონდში შევიდა;
- სიახლედ დაინერგა განსხვავებული ფორმატისა და მრავალფეროვნებით გამორჩეული ღონისძიებები: შემოდგომა ქედაში, ახალი წელი, დედისა და ქალთა დღე.

#### ძალიან მალე, დაპირებისამებრ:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის მეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;

#### VI. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 486 940 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 471 301 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 273 240 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 263 405 ლარი, საიდანაც:

ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 17 140 ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17 134 ლარი.

ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 102 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 100 178 ლარი.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 128 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 127 043 ლარი.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 25 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 19 050 ლარი.

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 213 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 207 896 ლარი, საიდანაც:

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16 433 ლარი.

ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 500 ლარი.

ხუთ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 000 ლარი.

უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7 500 ლარი.

ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ღირებულების უზრუნველყოფის პროგრამის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 14 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 542 ლარი.

ცერემბრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 9 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 264 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 104 840 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 104 740 ლარი.

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 46 560 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44 917 ლარი. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს, მიმდინარე წელს, ორი ახალი მიზნობრივი პროგრამა დაემატა:

1. საკრებულოს მიერ ინცირებული -,,პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 9 700 ლარს და სარგებლობს 15 ბენეფიციარი;
2. არასამთავრობო ორგანიზაცია „დახმარების ეროვნული ფონდი“-ს თანადაფინანსებით - „ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის“ პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 12 660 ლარს და სარგებლობს 12 მოქალაქე.

ამ ეტაპზე მერიაში მოქმედებს 13 მიზნობრივი პროგრამა და 455-ზე მეტი ბენეფიციარი სარგებლობს. გარდა ადგილობრივი პროგრამებისა, გასულ წელს საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამით 32 ოჯახმა შეიძინა ფართი, ხოლო მიმდინარე წელს შუამდგომლობა გაეწია - 23 ოჯახს. აჭარის ა რ ჯანმრთელობისა და სოციალურ სამინისტროში შუამდგომლობა გაეწია

ხანძრის შედეგად დაზარალებულ ორ ოჯახს.

#### 2018-2021 წლებისთვის:

- ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და სოციალური დახმარების სისტემის დასახვეწად სპეციალური ღონისძიებები გატარდება;
- ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის ბიუჯეტი გაიზრდება, პროგრამები კი უფრო მიზნობრივი გახდება;
- შემუშავდება და დაემატება ახალი პროგრამები (ხშირია ონკოდაავადებულთა მომართვიანობა ფინანსურ დახმარებაზე);
- დაიგეგმება კონკრეტული ღონისძიებები მედპუნქტების შესაბამის გარემოში ფუნქციონირებისთვის.

#### წინა წელთან მიმართებაში:

<b>სოციალური პროგრამები</b>	<b>2017 წ ფაქტი</b>	<b>2018წ გეგმა</b>
სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	103,156	147,600
ვეტერანთა უკვდავყოფის სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა	16,433	25,200
ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა	500	1,900
გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა	12,000	45,000
ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა	7,500	21,000
ცერემბრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა	12,542	15,000
საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა	9,264	9,500
	44,917	30,000

იხ. ცხრილი N1 და N2

## ჯანდაცვის პროგრამები

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
	263,405	629,700
ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა	17,134	24,800
ამბულატორიული მომსახურეობის პროგრამა	100,178	105,000
სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიზნობრივი პროგრამა	127,043	140,100
თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	19,050	77,400
ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის	-	12,700
პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა	-	9,700
თემის სამედიცინო პუნქტების და ამბულატორიების კეთილმოწყობა	-	60,000

### სოფლის მეურნეობა

აგროკურედიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2018-2021 წლებში, უშუალოდ ქედაში დაახლოებით 1,1 მილიონი ლარის ოდენობის დაფინანსება გაიცემა და 100 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

მთლიანად აჭარაში „აწარმოე საქართველოში“ და „მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, 2018-2021 წლებში საპროგნოზოდ 6 მილიონ ლარამდე დაიხარჯება და დაახლოებით, 200 ახალი თუ უკვე მოქმედი საწარმო და ფერმერი ისარგებლებს. აღნიშნული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში აჭარაში დამატებით დაახლოებით 1000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მათ შორის 50 - უშუალოდ ქედაში.

ამჟამად, მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს სასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწების გამარტივებული წესით რეგისტრაცია. **მნიშვნელოვანია 2018-2021 წლებისთვის მეწარმეობის განვითარების გეგმა:**

- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია ახალი ტურისტული პროექტების განხორციელება;
- მახუნცეთის ჩანჩქერის მიმდებარედ, გენგეგმის თანახმად ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობა;
- ახალი სერვისების შემუშავება - მთებსა და ჩანჩქერებამდე მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა (მემიბნა, წონიარისი, ზედა ბზუბზუ, მერისი, ოქტომბერი, ქვედა მახუნცეთი და ა.შ.);
- სოფლად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სხვა.

სოფელ ძენწმანში ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს, რაც ფერმერებს ხელს შეუწყობს მოწეული პროდუქციის რეალიზებაში.



პასტერელოზისა და ემკარის ვაქცინის შესაძენად წელს ადგილობრივ ბიუჯეტში 6 500 ლარია გათვალისწინებული, რომლის ფარგლებში 2500-მდე მსხვილფეხა პირუტყვი აიცრება. **ზედამხედველობა**

საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად მერიაში შემოსულ 4 განცხადებაზე, კანონით განსაზღვრულ ვადაში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე გაცემულია ნებართვები სოფელ დოლოგანში, ზესოფელსა და გულებში, ხოლო სოფელ ზენდიდში - მცირე ტევადობის (5მ-მდე) მოცულობის თხევადი გაზის ჩამოსასხმელი პუნქტის მშენებლობაზე.

სამსახურის მიერ სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას შედგენილი იქნა 7 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი ფიზიკურ პირებზე, მათ შორის ოთხი დაჯარიმებული იქნა, ხოლო ორი ფიზიკური პირის მიმართ საქმე აღსასრულებლად გადაეგზავნა სააღსრულებო ბიუროს, ერთი ადმინისტრაციული ოქმი კი განსახილველად ქვედის მაგისტრატ სასამართლოს.

შპს ქედის „კომუნალურსერვის“-ის სამსახურთან ერთად, დაბა ქედის ტერიტორიაზე ჩატარდა სანიტარული დასუფთავება. სისტემატურად მიმდინარეობს ქუჩების დაგვადასუფთავება და ხდება ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან.

შპს „კომუნალურსერვის“-ს მიერ განხორციელდა გარე განათების ქსელებისა და სანათი წერტილების აღდგენა მახუნცეთის, ზვარის, წონიარისის სოფლებში. ამჟამად, მიმდინარეობს სანათი წერტილების ჩართვა-აღდგენა სოფელ ახოსა და ინაშარიძეებში. შპს „წყალკანალი“-ს მიერ ჩატარდა საკანალიზაციო - სანიაღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა წერეთლის, აღმაშენებლის, 26 მაისისა და რუსთაველის ქუჩებზე. დაბა ქედაში სისტემატურად ხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა.

თებერვალ-მარტის თვეში, სამსახურმა შპს „ზადუ“-ს „მარეთი-777“-ს და შპს „ფელიქს“-ს გადაუგზავნა შესრულებული სამუშაოების შემდეგ გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნის წერილები, რათა საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრან გამოვლენილი ნაკლოვანებები. მოუწესრიგებლობის შემთხვევაში გატარდება საჯარიმო სანქციები.

შესწავლილი იქნა დაბა ქედისა და თემის ცენტრების გარე იერსახის, გარე- რეკლამის, გარე-ვაჭრობისა და სანიტარული დასუფთავების მდგომარეობა. ობიექტის მფლობელებს მიეცათ გაფრთხილება კეთილმოაწყონ აბიექტის გარე სარეკლამო აბრები და დაიცვან სანიტარული დასუფთავების წესები.

### **გენდერული თანასწორობა**

წელს პირველად, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამები განხორციელდება, რომლებიც შემუშავებულია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის N 341 დადგენილების შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში, 2018 წელს დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანაბარ წარმოჩენას, თანასწორ მონაწილეობას და ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

### **შიდა აუდიტი:**

შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს კონსტიტუციის“, „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის #43 დადგენილებით დამტკიცებული „ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით“ და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

1) შიდა აუდიტის სამსახურმა სამუშაო გეგმის შესაბამისად განახორციელა შიდა აუდიტორული შემოწმება სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფო სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულებების, არამატერიალური სიკეთების ხარჯვის გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლასა და ანალიზის შესახებ.

2) გეგმის შესაბამისად შიდა აუდიტორული შემოწმება ჩატარდა მუნიციპალიტეტის 100%იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, ასევე აუდიტორული შემოწმებები ჩატარდა მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის თაობაზე.

3) კერძო:

- შ.პ.ს. „სარაგბო კლუბი ფირალები“-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი;

- მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ მოხმარებული საწვავის მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი;
  - შ.კ.ს. „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი;
  - შ.კ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი;
  - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების აუდიტი;
  - ადგილობრივი მოსაკრებლების ბაზის განსაზღვრისა და გადასახადების ამოღების მიმდინარეობის აუდიტი;
  - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების მონიტორინგი;
  - მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტზე გახარჯული თანხების მიზნობრიობის აუდიტი;
- შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინება ხდება მიმდინარე მუშაობის პროცესში და შესრულების კონტროლს ახორციელებს ასევე შიდა აუდიტის სამსახური.
- მერიაში მოქმედი ყველა კომისიის მუშაობა საჯაროა:**
- „თვითხებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია“;
  - მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით მერიის სათათბირო ორგანო - საბჭო“; - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; - და ა.შ.

ასევე, მნიშვნელოვანია შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის მიზნით შექმნილი სპეციალური ჯგუფების მუშაობა, რომელსაც უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერი ხელმძღვანელობს. **მერიის სტრუქტურების საქმიანობის ძირითადი აქცენტები:**

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით, მერიაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი და დროულად ეგზავნება შესაბამისი პასუხები ადრესატს;
- ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის კუთხით, თვითმმართველობამ არაერთი აქტივობა დაისახა მიზნად. მაგალითად, აპრილში გაიმართება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვა, რომელიც შეეხება არსებული პროგრამების შესახებ აზრის კვლევასა და საჭიროებების მიხედვით ბიუჯეტის დაგეგმვას;
- მერიის ყველა სტრუქტურული ერთეულის მნიშვნელოვანი ღონისძიებები საჯაროდ განიხილება, რომლებშიც მოქალაქეთა თანამონაწილეობა უმნიშვნელოვანესია;
- ყველა სტრუქტურული ერთეული ღია პრესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.